პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 29 მაისი, 1945 წ. № 105 (7320). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. „პრავდის“ 28 მაისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

მოსკოვი, კრემლი. საბჭოთა ხალხის ბელადს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. (1-ლი გვერდი).

ი. გრიბოვი. იქ, სადაც ბრძოლები ჰქუხდა. (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. (მე-4 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. (მე-3 გვერდი).

აგრონომის რჩევა-დარიგება. (მე-3 გვერდი).

ალ. მინდაძე. მინდვრად მომუშავეს სანიმუშო საექიმო მომსახურება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-2 და მე-4 გვერდი).

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

დიდი სამამულო ომის მკაცრ და მრისხანე ჟამს ჩვენი სამშობლო აღიმართა მთელი თავისი ბუმბერაზული სიმაღლით. სოციალიზმის ქვეყანამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერულ გერმანიასთან — მძლავრ, ვერაგ და საშიშ იმპერიალისტ მტაცებელთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში.

ეს გამარჯვება ფრიად მნიშვნელოვანია. იგი მოწმობს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დიად წინასწარდანიშნულებას, მისი სამხედრო-ეკონომიური ძლიერების ურღვევობას, კლდისებურ სიმტკიცესა და ურყევობას. იგი კვლავ და კვლავ მთელი სიძლიერით მოწმობს იმასაც, რომ გზა, რომელზეც ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის რევოლუციამ გამოიყვანა, არის ერთადერთი სწორი, პროგრესიული გზა; ეს გზა უზრუნველჰყოფს ჩვენი სახელმწიფოს ყველა შინაგან ძალთა განუხრელ აღმავლობას; იგი ჩვენი ხალხისათვის უზრუნველჰყოფს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს როგორც მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ეპოქაში, ისე უდიდესი სამხედრო განსაცდელის ეპოქაშიც. ამ გზაზე საბჭოთა კავშირის ხალხები მიდიან ლენინ-სტალინის ყოვლისმძლეველი დროშით; მათ წარმართავს და აღაფრთოვანებს ნაცადი ხელმძღვანელი — ბოლშევიკური პარტია.

ომმა სრული სიცხადით დაგვანახვა, რომ მხოლოდ ჩვენი ბოლშევიკური პარტია არის შეიარაღებული საზოგადოებრივი განვითარების კანონების ნამდვილი ცოდნით და იმიტომ იცის, საით წაიყვანოს საქმე, და წარმატებით მიჰყავს იგი. სოციალისტური სამშობლოს დასაცავად პარტიამ გამოიყენა ჩვენი სამშობლოს მთელი დევგმირული ძლიერება, რომელიც მრავალჯერ გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. პარტიის მთელი ძალები და მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო იმისაკენ, მიპყრობილი იყო იმისაკენ, რომ ფრონტი უზრუნველეყო ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტრის გასანადგურებლად, მასზე გამარჯვების მოსაპოვებლად. მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას შესწევდა უნარი ესოდენ წარმატებით გადაეჭრა მთელი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სამეურნეო ამოცანები და მთელი ურთულესი სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო პრობლემები.

ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი სამშობლო გახდა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, უდიდესი პროგრესული ძალა, ქვეყანა, რომელიც დგას თავისუფლებისმოყვარე ერთა ავანგარდში და თავისი მაღალი მაგალითით ამტკიცებს, რომ სოციალიზმი და ნამდვილი დემოკრატია დაუძლეველია. საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი სწრაფი სვლა წინ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა მუდამ ბრძნული და სწორი იყო. პარტია ძლიერია ლენინიზმისადმი ერთგულებით, ხალხისადმი ერთგულებით. პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უძლეველობის წყაროს წარმოადგენს მასებთან ურღვევი კავშირი, რომელიც ომის დროს კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე გახდა.

ომი ევროპაში დამთავრდა. ეს არის ისტორიული მიჯნა. იმ სამხედრო ამოცანების გადაწყვეტის შემდეგ, რომლებზეც დღემდე მიპყრობილი იყო ხალხის, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მთელი ყურადღება და ღონისძიებანი, ჩვენ ვიწყებთ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას. ჩვენ ისე უნდა ვეწყოდეთ მუშაობას, რომ ჩვენი სახელმწიფო დღითი დღე იკრებდეს სულ ახალ-ახალ ძალას, სულ უფრო და უფრო მაღლა ადიოდეს თავისი ძლიერების მწვერვალებზე. სოციალისტური ეკონომიკა განუხრელად უნდა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს. განთავისუფლებული ოლქების მეურნეობა, რომელიც გერმანელმა დამპყრობლებმა დაანგრიეს და გაძარცვეს, წარმატებითი და სწრაფი აღორძინების პროცესშია. მთელი ყურადღება მიპყრობილი ექნება მეურნეობის ძირითადი დარგების — მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისა და აღდგენის საკითხებს. განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენი მშენებლების წინაშე. პარტიული ორგანოების უაღრესად გულმოდგინე ყურადღებას მოითხოვს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განმტკიცებისა და აღდგენის საკითხები.

მტერზე საბოლოო გამარჯვება მტკიცე საფუძველს უქმნის მეურნეობის წარმატებით აღდგენას. ამჟამად ეს მუშაობა უმაგალითო მასშტაბით გაჩაღდება. ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ორგანიზმი ახალგაზრდა, მაგარია; მან მაღალი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა ომის დღეებში, და მეურნეობისათვის მიყენებულ ჭრილობებს მალე მოვიშუშებთ. საჭიროა მხოლოდ აღდგენისათვის დავრაზმოთ ხალხის, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მთელი ძალები და ენერგია. ლენინგრადის, დონბასის და მთელი რიგი სხვა პარტიული ორგანიზაციები ახლავე დაძაბულად ეწევიან ამ მუშაობას და დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ეჭვი არ არის, რომ პარტიული ორგანიზაციების მიერ ომის დღეებში გამოჩენილი ენერგია ასევე იქნება გამოჩენილი მშვიდობიანი პერიოდის ამოცანების, ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღდგენის ამოცანების გადაწყვეტის დროსაც.

„კომუნისტები ამ ამოცანის გადაწყვეტისას იმიტომ გაიმარჯვებენ, რომ ჩვენს პარტიაში არის მტკიცე ერთიანობა, თავდადება საქმისათვის და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი დევიზი — „უსიკვდილოდ დავაბოლოოთ დაწყებული საქმე“,—უთხრა ამხანაგმა სტალინმა 1920 წლის მარტში უკრაინის კომუნისტებს. ჩვენი გმირი ხალხისა და ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ბელადის ეს დევიზი დღესაც საბრძოლო დევიზია ყველა სამეურნეო, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციისათვის, მეურნეობის აღდგენის მთელ ჩვენს მუშაობაში.

ომის დღეებში განუზომლად გაიზარდა მომთხოვნელობა მთელი ჩვენი მუშაობისადმი, უფრო მაღალი გახდა სახელმწიფოებრივი, პარტიული და შრომის დისციპლინა. ამით მკაფიოდ გამომჟღავნდა მაღალი შეგნებულობა საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც მიეჩვივნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას არა მარტო ბრძანებით, არამედ ღრმა შინაგანი რწმენითაც. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ჩვენი გამარჯვებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალშიც ხელმძღვანელობა ფორმალური კი არ უნდა იყოს, არამედ ქმედითი, მასებისათვის გასაგები. ამჟამად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განუხრელად შევასრულოთ ამხანაგ სტალინის მითითებანი იმის შესახებ, რომ სწორი ხელმძღვანელობა ნიშნავს „მოთმინებით და ყურადღებით განვმარტოთ, რათა ადამიანები მიხვდნენ, თუ რა სურს პარტიას და საით მიჰყავს მას ჩვენი ქვეყანა. თუ დღეს ვერ მიხვდნენ, გაისარჯე და ხვალ აუხსენი. თუ ხვალაც ვერ მიხვდნენ, გაისარჯე და ზეგ აუხსენი. ახლა უამისოდ არ იქნება და არც შეიძლება იყოს რაიმე ხელმძღვანელობა“.

საჭიროა კიდევ უფრო მაღლა ავიყვანოთ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი საქმიანობის დონე, გავაძლიეროთ პოლიტიკისა და მეურნეობის ხელმძღვანელობა, კიდევ უფრო მოქნილი გავხადოთ ხელმძღვანელობა, მაქსიმალური გულხმიერება გამოვიჩინოთ მასების საჭიროებათადმი. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პარტიის სწორი პოლიტიკის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა ორი უმნიშვნელოვანესი პირობის დაცვა: „ჯერ ერთი, მუშაკთა სწორი შერჩევა და პარტიის პოლიტიკის შესრულების შემოწმება, მეორე, მოქნილობა მასების ხელმძღვანელობაში და მაქსიმალური გულხმიერება მასების საჭიროებათადმი, კიდევ გულხმიერება და კიდევ გულხმიერება“.

საჭიროა უაღრესად გადაჭრით ვებრძოლოთ ხელმძღვანელობის ფორმალურ-ბიუროკრატიულ მეთოდებს, მშრომელთა საჭიროებათადმი უყურადღებობას. ხოლო ასეთი მეთოდები და ასეთი მოპყრობა აქა-იქ კიდევ გვხვდება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში პარტიის ტულის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო სასტიკად ჰგმობს საოლქო კომიტეტის დაუდევარ მოპყრობას მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მომსახურებისადმი. ეს დაუდევარი მოპყრობა იმით გამოიხატა, რომ კომუნალური მეურნეობა ქალაქ ტულაში უყურადღებოდ არის მიტოვებული, ცუდად მუშაობდნენ წყალსადენი და ტრამვაი, სათბობით უზრუნველყოფილი არ იყვნენ სკოლები, საავადმყოფოები და საბავშვო დაწესებულებები. სერიოზული ნაკლოვანებანი იყო ქვანახშირის მრეწველობის — ოლქის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

ყოველივე ეს, უეჭველია, იცოდა პარტიის ტულის საოლქო კომიტეტმა. მან მშრომელთაგან მიიღო საკმაოდ ბევრი წერილი და განცხადებანი, რომლებიც სიგნალს იძლეოდნენ მოუწესრიგებლობაზე ქალაქის კომუნალურ მეურნეობასა და მოსახლეობის ყოფაცხოვრებით მომსახურებაში. მაგრამ საოლქო კომიტეტმა ზომები არ მიიღო, რათა აღმოეფხვრა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის ტულის საოლქო კომიტეტს აღმოფხვრას პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დაუდევარი მოპყრობა მოსახლეობის საჭიროებათა მომსახურებისადმი და უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყოს სრული წესრიგის დამყარება ქალაქის მეურნეობაში. მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მომსახურებაში დიდი ნაკლოვანებების აღმოფხვრა პარტიის საოლქო კომიტეტისა და მთელი საოლქო პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიის ტულის საოლქო კომიტეტის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოაგონებს ყველა საბჭოთა, სამეურნეო და პარტიულ ორგანოებს, რომ მათი პირველხარისხოვანი მოვალეობაა მაქსიმალური გულხმიერება გამოიჩინონ მასებისადმი, მათი საჭიროებებისა და ინტერესებისადმი.

ომის განმავლობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს ხელმძღვანელი საქმიანობის განსაკუთრებით ძვირფასი გამოცდილება. ამ საქმიანობის განმასხვავებელი ნიშნებია მობილურობა, კონკრეტულობა და ოპერატიულობა, უყოყმანო შემსრულებლობა, სიზუსტე, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. ეს მაღალი თვისებები უნდა ჩავუნერგოთ ყოველ მუშაკს.

ჩვენს წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანებია. ეს ამოცანები რომ წარმატებით გადავწყვიტოთ, ამისათვის უნდა შეგვეძლოს პერსპექტიული აზროვნება და გადაწყვეტა, უნდა გვქონდეს საქმიანობის გარკვეული და მოფიქრებული გეგმა. არ შეიძლება ვცხოვრობდეთ უდარდელად, მხოლოდ დღევანდელი დღით, ვიზრდებოდეთ ბალახივით, ვემყარებოდეთ თვითდინებას, კუდში მივჩანჩალებდეთ მოვლენებს. საჭიროა პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიპყრობილ იქნას მთავარსა და ძირითადზე; ყველაფერს არ უნდა მოვედოთ მუშაობაში, არ უნდა გამოვიჩინოთ მშვიდობიანი პერიოდის ამოცანებზე გადასვლასთან დაკავშირებულ სიძნელეთა შეუფასებლობა, არ უნდა დაგვაბნიოს ამ სიძნელეებმა, არამედ სწრაფად და უნარიანად დავძლიოთ ისინი, არ მივეცეთ თვითდამშვიდებასა და უდარდელობას.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაობაში მაღალი ორგანიზებულობა, ოპერატიულობა ომის დროს ხელს უწყობდა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების საქმეს. ამჟამად ეს ძვირფასი ბოლშევიკური თვისებები, მთელი ძალა, მთელი ენერგია და მთელი უმდიდრესი გამოცდილება, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა ომის დღეებში შეიძინეს, უნდა მიმართულ იქნას ახალი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლისაკენ.

„პრავდის“ 28 მაისის მოწინავე

მოსკოვი, კრემლი

საბჭოთა ხალხის ბელადს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო და საყვარელო მამავ, ჩვენო მასწავლებელო და მეგობარო იოსებ ბესარიონის-ძევ!

უდიდესი სიხარულისა და ზეიმის გრძნობით შეხვდა ყირგიზი ხალხი ისტორიულ ცნობას ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურებისა და მთელი მისი შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

დიდმა საბჭოთა ხალხმა და მისმა გმირმა წითელმა არმიამ თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, გაანადგურეს ფაშისტთა არმიები, გაანადგურეს და მოსპეს გიგანტური სამხედრო მანქანა გერმანელი იმპერიალისტებისა, რომლებმაც თავხედურად აღმართეს თავიანთი სისხლიანი ხელი მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

უჭკნობი დიდებით მოსილმა საბჭოთა იარაღმა, იარაღმა ყოვლისმძლე სასიცოცხლო სიმართლისა, რომელიც გამოცხადებულია დიდი ლენინისა და თქვენ მიერ, ამხანაგო სტალინ, კვლავ მოიპოვა ისტორიული გამარჯვება საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტერზე — გერმანიის ავაზაკურ იმპერიალიზმზე. ჩვენი დედა-სამშობლოს ეს დიადი გამარჯვება უზრუნველჰყვეს სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველმა ძალამ და ძლიერებამ, საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ და ურღვევმა ლენინურ-სტალინურმა მეგობრობამ, ბრძოლებში ნაცადი და გამობრძმედილი ლენინ-სტალინის პარტიის სულისჩამდგმელმა, ხელმძღვანელმა, მაორგანიზებელმა როლმა; ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ბედნიერ და სასიხარულო გამარჯვებამდე მიგვიყვანა ყველა საბჭოთა ადამიანის უსაზღვრო ერთგულებამ და მგზნებარე სიყვარულმა თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი.

დიდი სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად ყირგიზი ხალხის ერთგული შვილები მიდიოდნენ წმიდა ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. თქვენზე ფიქრით, თქვენი სახელით აღფრთოვანებულნი იბრძოდნენ ყირგიზეთის მეომრები ბრძოლის ველზე სტალინგრადისა და ლენინის ქალაქის კედლებთან, დნეპრის ნაპირებზე, ბელორუსიის ტყეებში, კარპატის მთებში და გერმანიის მიწა-წყალზე.

ყირგიზეთის ვაჟკაცებმა მტკიცედ იცოდნენ, რომ, სადაც უნდა ებრძოლნათ, ისინი იცავდნენ ტალასისა და ჩუს აყვავებულ ველებს, ტიან-შანის სიმდიდრეებს, ისიკ-ყულის ნაყოფიერ მინდვრებსა და ბაღებს, იცავდნენ ბედნიერ ცხოვრებას მზიური ყირგიზეთის ყიშლაგებისა და აულებში. ისინი იცავდნენ მამების მშვიდობიან კერებს, თავიანთი შვილების ბედნიერებას, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულს, ყირგიზი ხალხის მეგობრობასა და ძმობას ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხებთან. ათასობით ყირგიზი მეომარი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გამოჩენილი მამაცობისა და გულადობისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით და მათ შორის 30-ზე მეტი საუკეთესო მეომარი ღირსი გახდა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებისა. მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს ყირგიზ მეომრებს, რომლებმაც თავი გასწირეს 28 გმირ პანფილოველთა შორის და არ გამოუშვეს მტრის ტანკები ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვისაკენ.

თქვენ აღაფრთოვანებდით, ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩვენს მეომრებს საბრძოლო საგმირო საქმეებისათვის, თქვენმა გენიამ აღზარდა ჩვენს წარმოგზავნილებში უშიშარი მებრძოლები, ასწავლა მათ სამხედრო ოსტატობა.

საბჭოთა ყირგიზეთის მშრომელები, რომლებმაც თავიანთი შვილები ფრონტზე გაგზავნეს, თქვენ მიერ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, აღფრთოვანებულნი, თავდადებით მუშაობდნენ და ცდილობდნენ მოემარაგებინათ ფრონტი ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროებოდა.

ვდღესასწაულობთ რა დიად გამარჯვებას, ჩვენ არ ვივიწყებთ და მტკიცედ გვახსოვს ჩვენი მოვალეობა ჩვენი დიდი სამშობლოს წინაშე — ვიმუშაოთ კიდევ უფრო თავდადებით ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და სამადნოებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლო და ვჭედოთ მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერება.

ყირგიზეთის მშრომელები ფიცსა სდებენ თქვენს წინაშე, ამხანაგო სტალინ, რომ ისევე როგორც დიდი სამამულო ომის წლებში, ისინი კვლავაც არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას სამშობლოს საკეთილდღეოდ და ყოველივეს გააკეთებენ ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

ყირგიზეთის მშრომელები სიყვარულითა და სიხარულით გიძღვნიან თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, თავიანთ გულითად სალამს, დიდ მადლობას და გისურვებენ მრავალსა და მრავალ წელს კარგად ყოფნას ჩვენი საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ და სასიხარულოდ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს წითელ არმიას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის არმიას!

დიდება ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს, დიდ **სტალინს!**

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ტოკობაევი

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ტ. კულატოვი

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვაგოვი

იქ, სადაც ბრძოლები ჰქუხდა

კურლანდიის ნახევარკუნძულზე მშვენიერი ამინდია. კარგი პირი უჩანს საშემოდგომო ნათესებს, გამოცოცხლდნენ ბაღები. იმდენი თეთრი ყვავილია აქ, ისე გგონება, მთელი ნახევარკუნძული თოვლით არის დაფარული. იქ, სადაც ამას წინათ ბრძოლები ჰქუხდა, გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვა. გლეხები ამთავრებენ კარტოფილის რგვას.

ომის შემდეგ გასულმა პირველმა კვირეებმა სრულიად შეუცვალეს სახე კურლანდიის ნახევარკუნძულს. ჯარის ნაწილებმა თავიანთი პოზიციები დასტოვეს და ბანაკად წავიდნენ, სადაც სასწავლო მოედნებზე განაგრძობენ თავიანთი ოსტატობის სრულყოფას. მშვიდობიანი ცხოვრება ყველგან კალაპოტში დგება. ამ დღეებში ჩვენ რამდენიმე მიმართულებით გადავსერეთ ნახევარკუნძული, რამდენიმე ასეული კილომეტრი გავიარეთ ყოფილი სამხედრო გზებით. გარშემო ყველაფერი გამოიცვალა. გზები წესრიგშია მოყვანილი, მორთულია დიდი პანოებით, ტრანსპარანტებით. ერთ-ერთ მათგანზე სწერია: „ფხიზლად იყავით!“.

...ტყის გზაში ჩვენ შევხვდით გვარდიის ლეიტენანტ სკობელევის მებრძოლთა ჯგუფს. ტყე უდაბური სჩანდა. მხოლოდ ხანდახან ფეხქვეშ ტკაცუნებდა ხმელი ტოტი და სადმე გამფრთხალი ფრინველი თუ წამოიძახებდა. მაგრამ მებრძოლები ფრთხილად იყვნენ. ისინი გაშლილი შარით მიდიოდნენ და ცდილობდნენ არაფერი გამოეპარვოდათ.

აი ოდნავშესამჩნევი ბილიკი. გვარდიის უფროსი სერჟანტი მოროზოვი მას დააკვირდა და ნესტიან მიწაზე შეამჩნია ლურსმნით დაჭედილი ჩექმის კვალი. კვალი ნახევრადდანგრეული ხიდისაკენ მიდიოდა. მოროზოვმა ხიდი გაიარა, მაგრამ შემდეგ შინაგან გრძნობას დაემორჩილა, დაბრუნდა და ხიდის ნანგრევებში აღმოაჩინა უცნობი, რომელიც დამალვას ლამობდა. უცნობი გადაცმული ჰიტლერელი აღმოჩნდა. მას ჰქონდა ავტომატი, რევოლვერი, დანა და ბევრი ვაზნა, ჯიბეში კი — ყალბი დოკუმენტები.

მეორე დღეს ამავე ქვეგანაყოფის მებრძოლები, მიდამოებს რომ „სწმენდდნენ“, ცალკე ხუტორებს ათვალიერებდნენ. მეტყვიამფრქვევე ველსოვმა შეიხედა განცალკევებულ სახლში, რომელიც ტყისპირას იდგა. მან დაათვალიერა ოთახები, სხვენი და სარდაფი და აპირებდა სახლიდან წასვლას. უკვე გამოსვლისას ყურადღება მიაქცია დიდ ზანდუკს. ზანდუკში გადაცმული გერმანელი აღმოჩნდა.

ამ დღეებში გლეხი ქალის მილდა პუნის ხუტორში მივიდა სამი ჩამოფლეთილი კაცი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ესენი იყვნენ ჰიტლერელები, რომლებიც რვა დღე-ღამის განმავლობაში დახეტიალებდნენ ტყეებში და თავს არიდებდნენ ტყვედ ჩაბარებას. მილდა პუნს ჰიტლერელები სამზარეულოში შეხვდნენ. უწინარეს ყოვლისა, მათ ჰკითხეს:

— ხუტორში რუსი ჯარისკაცები ხომ არ არიან?

— არა, — მიუგო ქალმა.

მაშინ ჰიტლერელები სუფრას მიუსხდნენ და პური და რძე მოითხოვეს. საკუჭნაოში რძისათვის წასულმა ქალმა მოასწრო გაეფრთხილებინა დაუპატიჟებელი „სტუმრების“ მოსვლის შესახებ მეზობელ ოთახში მცხოვრები რუსი ქალიშვილი — ფერშალი გალინა გავრილოვა. მის ოთახში ტელეფონი იყო. გავრილოვამ მახლობელი ნაწილის შტაბს დაურეკა და მხოლოდ სამი სიტყვა უთხრა:

— ჩვენთან გერმანელები არიან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხუტორში მივიდნენ წითელარმიელები მოშარიჩევი, გლაზიჩევი და ზემდეგი ტემკინი. ერთი მათგანი კარებთან დარჩა, ხოლო ორი სახლში შევიდა. ჩვენი მებრძოლების დანახვისას ჰიტლერელებმა იარაღს იტაცეს ხელი, მაგრამ გვიანღა იყო. ალექსი ტემკინმა გერმანელ ეფრეიტორს ავტომატი დააგდებინა, მეორე ჰიტლერელს კი — შაშხანა. ბანდიტები იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ. ლატვიელი გლეხი ქალის მილდა პუნისა და რუსი ქალიშვილის გალინა გავრილოვას სიფხიზლემ დახმარება გაგვიწია სამი ჰიტლერელი დივერსანტი გაგვეუვნებელებინა.

მოძრაობის მოწესრიგებელმა უმცროსმა სერჟანტმა ლებედევამ თავდადება გამოიჩინა ორი დივერსანტის დაჭერის დროს. მისი საგუშაგოს ახლოს გზაში მიდიოდა წითელარმიულ ფორმით გამოწყობილი ორი კაცი. ისინი რაღაც საეჭვოდ ეჩვენა ლებედევას და მათ დოკუმენტები მოსთხოვა. დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდა. ლებედევა იარაღით დაემუქრა და წინადადება მისცა მათ — გამომყევითო. ერთ-ერთმა უცნობმა რევოლვერი იძრო და ესროლა. ლებედევა დაიჭრა, მაგრამ მაინც მოასწრო რამდენიმე ჯერი მიეყოლებინა გაქცეული ბანდიტებისათვის. დასახმარებლად მოსულმა მებრძოლებმა უცნობები შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ წითელარმიელის ფორმაგადაცმული სს-ელები.

ი. გრიბოვი

ნ. არმია, მაისი. (საკდესის სპეც. კორ.).

ფ. ვ. ნანეიშვილის და ე. ი. ქანთარიას დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებული არიან ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ვარლენის-ძე **ნანეიშვილი** და გვარდიის პოლკოვნიკი ენუქი ივანეს-ძე **ქანთარია.**

მესამე ხუთწლედის მეოთხე წლის გამოშვების სესხის მოგებათა ტირაჟი

30 მაისს შესდგება მესამე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სახელმწიფო სესხის მოგებათა მე-14 ტირაჟი. გათამაშებულ იქნება 102.522.000 მანეთის 644.000 მოგება, მათ შორის 70 მოგება თვითეული 3.000 მანეთისა, 350 მოგება — 1.000 მანეთისა 3.500 მოგება — 500 მანეთისა და სხვა.

ტირაჟი შესდგება მოსკოვში. (საკდესი).

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი ყაზახურ ენაზე

ალმა-ატა, 28 მაისი. (საკდესი). მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ყაზახეთის ფილიალმა ყაზახურ ენაზე გადათარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის IV რუსული გამოცემის პირველი ტომი.

სამამულო ომის წლებში ყაზახურ ენაზე გამოცემულია აგრეთვე ვ. ი. ლენინის 27 ნაწარმოები, მათ შორის: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, კრებულები „სოციალისტური სამშობლოს დასაცავად“, „ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად“, ბროშურები „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“, „დიდი თაოსნობა“ და სხვები.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის იმ ნაწარმოებთა საერთო ტირაჟი, რომლებიც გამოშვებულია ყაზახეთში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში აღწევს 4 მილიონ ცალს, მათ შორის 1,5 მილიონი ცალი გამოცემულია ყაზახურ ენაზე.

სამგზავრო მიმოსვლა შავ ზღვაში

4 წლის შეწყვეტის შემდეგ სამგზავრო მიმოსვლა დაიწყო შავ ზღვაში. ოდესიდან ხერსონის წავიდა პირველი თბომავალი „ნორდი“. ივნისის დამდეგს გაიხსნება ყირიმ-კავკასიის ხაზი. ამ ხაზის გემები შევლენ სევასტოპოლსა, ნოვოროსიისკსა, სოჭსა, სოხუმსა, ფოთსა და ბათუმში. (საკდესი).

16 მილიონი სახელმძღვანელო სკოლებისათვის

სახელმწიფო სასწავლო-პედაგოგიური გამომცემლობა წელს სკოლებისათვის გამოუშვებს 16 მილიონ სახელმძღვანელოს, ხოლო პედაგოგიური სასწავლებლებისა და პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლებისათვის — 1.144.000 სახელმძღვანელოს.

გადაწყვეტილია, გაუმჯობესებული ხარისხის ქაღალდზე და კარგი გაფორმებით პირველ რიგში დაიბეჭდოს აბანები და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები დაწყებითი სკოლებისათვის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები შვიდწლედისა და საშუალო სკოლისათვის.

12 მილიონი სახელმძღვანელო უნდა გამოიცეს პირველი ოქტომბრისათვის, დანარჩენები კი — წლის ბოლოსათვის. (საკდე-ი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი „მინდვრის სამუშაოებში ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ მუშა საქონლის მოვლისა და მინდვრის სამუშაოებში გამოყენების საქმეში.

მთელი რიგი რაიონების (სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, ყვარლის, ბორჩალოს, წითელწყაროს, ქარელის, ყარაიის რაიონების) საბჭოთა, პარტიული და სამეწარმეო ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში ცოცხალი გამწევი ძალის გადიდებულ მნიშვნელობას.

მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალ გამწევ ძალას დიდი ხვედრითი წონა აქვს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებისათვის, ბევრ რაიონში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, სათანადო ყურადღება არ ეთმობა მუშა საქონლის გამოზრდის, მოვლის, შენახვისა და მინდვრის სამუშაოებში (ხვნა, ფარცხვა, თესვა, კულტივაცია, მოსავლის აღება და სხვ.) სწორად გამოყენების საქმეს.

მუშა საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა მონაწილეობას არ იღებს მინდვრის სამუშაოებში უსუქრობისა და სამი წლის ასაკისაზე მეტი მოზვრების თავის დროზე გაუხედნელობის გამო.

ცუდად არის დაყენებული მუშა საქონლის ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება; ხშირია შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობათა გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ მუშა საქონლის სწორად კვების, შენახვისა და განსაკუთრებით ღამის ძოვებისათვის.

ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში მუშა საქონელი გაუპიროვნებულია და აქტით არ არის მიმაგრებული საწარმოო ბრიგადებზე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სრულიად შეუწყნარებლად სთვლიან ისეთ მდგომარეობას, როცა ცალკე რაიონების კოლმეურნეობებში გუთნების, ურმებისა და სხვა მისაბმელი ინვენტარის ნაკლებობის გამო დიდძალი მუშა საქონელი მოცდენილია და მონაწილეობას არ იღებს მინდვრის სამუშაოებში.

რაიაღმასკომები, პარტიის რაიკომები და კოლმეურნეობათა გამგეობები საკმაო ღონისძიებებს არ ხმარობენ საკოლმეურნეო მისაბმელი და სატრანსპორტო ინვენტარის (გუთნების, ფარცხების, ურმების, თვლებისა და სხვ.) რემონტის, არსებულის დაცვის და ახლის დამზადებისათვის. არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს მუშაობა საკოლმეურნეო სამჭედლოების მშენებლობისა და მოწყობის, აგრეთვე სახუროვნო და სასარაჯო სახელოსნოების მშენებლობისა და მოწყობის საქმეში წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტისა და წარმოების უზრუნველსაყოფად.

არასრულად იყენებენ საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების შესაძლებლობას საკავშირო და ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში.

ადგილობრივი მრეწველობა და საქართველოს სარეწაო კოოპერაცია არ ასრულებენ მუშა საქონლისათვის საჭირო მისაბმელი და სხვა ინვენტარის წარმოების დაწესებულ გეგმებს.

რაიონული სამრეწველო კომბინატებისა და რაიაღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა საწარმოები აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ცხენისა და ხარის ნალების, საზიდრებისა და ფურგონების, აგრეთვე ურმების დამზადების გეგმას.

რაიაღმასკომები და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომები სათანადოდ არ ზრუნავენ სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარის დაცვისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ყურადღებას არ უთმობენ მათი რემონტისა და აღდგენის საქმეს, რის შედეგადაც მისაბმელი ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა მწყობრიდან გამოდის.

კოლმეურნეობათა გამგეობანი არ ზრუნავენ ბრიგადებზე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებათა და აკაზმულობის ძიმაგრებისათვის, ხოლო ბრიგადებში კოლმეურნეებზე მიმაგრებისათვის და მატერიალურ პასუხისგებას არ აკისრებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გაფუჭებაში დამნაშავეებს.

ურმების, ფურგონებისა და საზიდრების, აკაზმულობისა და უღლების დიდი ნაკლებობის დროს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მცირე ყურადღებას აქცევენ საკუთარი ძალებითა და საშუალებებით მათ დამზადებას.

დიდძალი საკოლმეურნეო სამჭედლო უმოქმედოა საჭირო მოწყობილობისა და ნახშირის უქონლობის გამო, არ ამზადებენ საკოლმეურნეო მჭედელთა კადრებს.

მინდვრის სამუშაოებში ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენების, მოვლისა და შენახვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიონულ კომიტეტებს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და გამოასწორონ მუშა საქონლის გამოყენების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი;

ბ) დაამყარონ წესრიგი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინდვრის პირობებში მუშა საქონლის მოვლის, შენახვისა და კვების საქმეში; მუშა საქონლის ღამის ძოვების განსახორციელებლად ყოველ კოლმეურნეობასა და ბრიგადაში გამოჰყონ კოლმეურნეთა საჭირო რაოდენობა და კარგბალახიანი ნაკვეთები მინდვრის სამუშაოებში ჩაბმული პირუტყვისათვის;

გ) დაევალოთ კოლმეურნეობათა გამგეობებს მიწსახკომის მიერ შემუშავებული სანიმუშო წესების საფუძველზე ათი დღის ვადაში შეადგინონ და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დაამტკიცონ მინდვრის სამუშაოთა პერიოდში მუშა საქონლის გამოყენების, მოვლისა და შენახვის წესები; მთელი მუშა საქონელი კოლმეურნეობებში აქტით მიამაგრონ ბრიგადებს და რაც შეიძლება მეტი ცოცხალი გამწევი ძალა გაათავისუფლონ შინასამეურნეო სამუშაოთაგან უშუალოდ მინდვრად სამუშაოდ;

დ) მოაწყონ კოლმეურნეობებში და მემინდვრეობის ბრიგადებთან დახურული ფარდულები სიცხესა და ავდარში მუშა საქონლის დასასვენებლად და განახორციელონ ღონისძიებანი კეთილმოწყობილი სარწყულებლებით პირუტყვის უზრუნველყოფისათვის;

ე) აღმოფხვრან გაუპიროვნება და გატანაბრება მუშა საქონლის გამოყენებაში და იმ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში, რომლებიც ცოცხალი გამწევი ძალით მუშაობენ, დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობათა გამგეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ცალ-ცალკე ყველა იმ კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობების მუშისათვის დავალებათა დაწესებაში, რომლებიც ცოცხალი გამწევი ძალით მუშაობენ, ამასთან უზრუნველჰყონ მათი შრომის ანაზღაურება შესრულებული სამუშაოებისათვის კოლმეურნეობებში მიღებული ნორმებისა და შრომის შეფასების მიხედვით;

ვ) ადგილებზე მიავლინონ ზოოტექნიკოსები, ვეტერინარული ექიმები და აგრონომები, რათა მათ დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს მინდვრის სამუშაოთა დროს ბრიგადებში ცოცხალი გამწევი ძალის მოვლის, შენახვისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა გამომუშავებასა და განხორციელებაში.

2. დაევალოთ რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს შეამოწმონ შესრულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 14 მარტის დადგენილებისა „1945 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ცოცხალი გამწევი ძალის მდგომარეობისა და მომზადების ღონისძიებათა შესახებ“, დააწესონ სისტემატური კონტროლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებისადმი და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენების გაუმჯობესების საქმეში.

3. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ყოველკვირეულად მოისმინონ კოლმეურნეობათა გამგეობის სხდომებზე მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირთა ანგარიშები ცოცხალი გამწევი ძალის მდგომარეობისა და მინდვრის სამუშაოებში მისი გამოყენების შესახებ.

4. მოწონებულ იქნას მიწსახკომის მიერ შემუშავებული სანიმუშო წესები მინდვრის სამუშაოთა პერიოდში მუშა საქონლის გამოყენების, მოვლისა და შენახვისათვის და დაევალოს მიწსახკომს დაუყოვნებლივ დაუგზავნოს ეს წესები რაიაღმასკომებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

5. წინადადება მიეცეთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიონულ კომიტეტებს:

ა) 2 კვირის ვადაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოახდინონ ცხენის მთელი არსებული მისაბმელი და სატრანსპორტო ინვენტარის აღრიცხვა, შეამოწმონ მათი მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განიხილონ რაიაღმასკომებისა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების ბიუროს სხდომებზე, მიიღონ ღონისძიებანი ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მისაბმელი ინვენტარის, ტრანსპორტის, აკაზმულობისა და სხვ. რემონტისა და აღდგენის დაუყოვნებლივ მოწყობისათვის. მისაბმელი და სატრანსპორტო ინვენტარის რემონტის გეგმები რაიონების მიხედვით წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მიწსახკომს არა უგვიანეს ა. წ. 1 ივლისისა;

ბ) შეამოწმონ ყველა საკოლმეურნეო სამჭედლო და სახელოსნო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებათა რემონტისა და დამზადების საქმეში, მიიღონ ღონისძიებანი, რათა ისინი დამატებით მოეწყონ საჭირო ინსტრუმენტებით და უზრუნველყოფილ იქნან მჭედლებით კოლმეურნეთაგან, დაავალონ კოლმეურნეობათა გამგეობებს დაუწესონ გეგმები სამჭედლოებსა და სახელოსნოებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებათა რემონტისა და დამზადებისათვის;

გ) მიმდინარე წელს ყოველ რაიონში მოაწყონ სულ მცირე ორი საკოლმეურნეო საჩვენებელი სახელოსნო ახალი აკაზმულობისა და უღლების დასამზადებლად და ძველების შესაკეთებლად, აგრეთვე ორ-ორი საჩვენებელი სამჭედლო-სახელოსნო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ურმების, ფურგონებისა და საზიდრების დასამზადებლად და სარემონტოდ, საჭირო დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს ინსტრუმენტებით მათი მოწყობისა და კვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფაში;

დ) ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად, ყოველ კოლმეურნეობაში დაწესებული ფორმით ცხენის მისაბმელი და სატრანსპორტო ინვენტარისა და მანქანების მიმაგრება ბრიგადებზე, ხოლო ბრიგადებში — კოლმეურნეებზე, დააკისრონ მატერიალური პასუხისმგებლობა უდარდელი და უყაირათო მოპყრობის გამო მანქანების, ინვენტარის გაფუჭებისა და დამტვრევისათვის დამნაშავეებს.

6. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ მიწსახკომს, რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს უზრუნველყონ 1945 წელს სამჭედლოების რემონტისა და აღდგენის იმ გეგმის შესრულება, რომელიც დაწესებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 16 მაისის № 576 დადგენილებით „კოლმეურნეობებში წისქვილებისა და დამხმარე საწარმოთა რემონტისა და მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ“.

ერთი თვის ვადაში შეამოწმონ კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა მჭედლებით, 1945 წლის განმავლობაში გამოცდილი საკოლმეურნეო მჭედლების ხელმძღვანელობით, აგრეთვე მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებთან მოაწყონ მჭედელთა მომზადება იმ კოლმეურნეობათა კოლმეურნეთაგან, რომლებიც მჭედლებით უზრუნველყოფილი არ არიან.

7. წინადადება მიეცეთ რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს შეამოწმონ კოლმეურნეობათა მიერ ახალი ურმების დამზადების მსვლელობა და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად და უზრუნველყონ ამ დავალების შესრულება.

8. დამტკიცდეს ცოცხალი გამწევი ძალის მისაბმელი და სატრანსპორტო ინვენტარის, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და აკაზმულობის წარმოების 1945 წლის გეგმა სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების მიხედვით.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს), სარეწაო კავშირს (ამხ. აბაიშვილს), საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიულ კავშირს (ამხ. შაჯაქიძეს), საქართველოს სატყეო მრეწველობის კავშირს (ამხ. ჯიბაშვილს), რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ერთი თვის ვადაში შეამოწმონ რაიონული სამრეწველო კომბინატების, რაიაღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებისა და არტელების მუშაობა, განიხილონ შემოწმების შედეგები და მიიღონ ღონისძიებანი მათი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებათა და აკაზმულობის დამზადების საქმეში, აგრეთვე დაავალონ მათ დავალებანი საკოლმეურნეო სამჭედლოებისა და სასარაჯო სახელოსნოებისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის დასამზადებლად.

10. მიენდოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სარეწაო კავშირსა და საქართველოს სატყეო მრეწველობის კავშირს ერთად, ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში წინადადებანი რესპუბლიკის საწარმოებში ურმის საცხების, ცხენისა და ხელის ინვენტარის, მანქანების და საკოლმეურნეო სამჭედლოებისათვის სამჭედლო მოწყობილობის წარმოების ორგანიზაციის საკითხზე.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარმაკოლოგიურ-ქიმიურ მრეწველობას (ამხ. [illegible]) ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში პრაქტიკული წინადადებანი კუპრის გამოშვების გასადიდებლად.

12. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებისა და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს:

ა) უშუალო კონტროლი გაუწიონ მინდვრის სამუშაოებში მუშა საქონლის მოვლის, შენახვისა და გამოყენების საქმეს;

ბ) არა უგვიანეს ა. წ. 20 ივნისისა წარმოადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ანგარიში ცხენის ინვენტარის, აკაზმულობისა და ურმების დამზადებისა და შეკეთების სახელოსნოების ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე საკოლმეურნეო სამჭედლოების აღდგენისა და მშენებლობისათვის და სამჭედლებით კოლმეურნეობათა უზრუნველყოფისათვის მიღებულ ღონისძიებათა შესახებ;

გ) ა. წ. 1 აგვისტოსათვის წარმოადგინონ ანგარიში მთლიანად ამ დადგენილების შესრულების მსვლელობის შესახებ.

გეგმების შესრულება

(ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორესპონდენტებისაგან)

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს. დათესილია 8.122 ჰექტარი, აქედან 7.688 ჰექტარი სიმინდი, 76,5 ჰექტარი ბოსტნეული და ბაღჩეული, 358 ჰექტარი საქონლის საკვები კულტურები.

* * *

თეთრი წყაროს რაიონში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმები 20 მაისისათვის შესრულდა. 7.613 ჰექტარის ნაცვლად მოხნულია 7.643 ჰექტარი, 11.115 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 11.135 ჰექტარი.

* * *

ახმეტის რაიონმა 25 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. 6.138 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 6.150 ჰექტარი. სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია 104,6 პროცენტით, მზესუმზირისა—107 პროცენტით, კარტოფილისა—100,4 პროცენტით.

ხობის მტს-მა საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა 111 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 1.300 ჰექტარისა მოხნულია 1.446 ჰექტარი. თავი ისახელა ახალგაზრდა ტრაქტორისტმა ო. ზაქარაიამ, რომელმაც ხვნის გეგმა 144 პროცენტით შეასრულა და 452 კილოგრამი საწვავი დაზოგა. აგრეთვე დაწინაურდნენ ტრაქტორისტები ი. შონია, ჩოკორაია, ალანია, რეკვავა და ქადარია.

* * *

ზესტაფონის რაიონმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 25 მაისს 100,3 პროცენტით შეასრულა. დათესილია 7.065 ჰექტარი. ვენახების პირველი თოხნისა და ვაზის სადედეების რიგთა შორის დამუშავების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, ვაზის შეწამვლისა — 168 პროცენტით. გეგმის გარეშე გაშენებულია 30 ჰექტარი თეთრი აკაცია.

* * *

გალის რაიონმა წარმატებით შეასრულა სიმინდის თესვის გეგმა, დათესილია 8.350 ჰექტარი.

ჩაის ფოთლის კრეფა

(საქართველოს ჩაის ტრესტის 25 მაისის ცნობებით)

რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	3,4	ქუთაისი	—
ქობულეთი	1,2	წყალტუბო	60,5
გალი	14,7	ტყიბული	1,1
ოჩამჩირე	8,5	ცხაკაია	9,5
გულრიფში	—	აბაშა	50,0
სოხუმი	—	გეგეჭკორი	16,7
გუდაუთი	—	ზუგდიდი	0,6
მახარაძე	—	წალენჯიხა	2,5
ჩოხატაური	17,4	ჩხოროწყუ	8,6
ლანჩხუთი	—	ხობი	11,0
სამტრედია	59,6	ჩხარი	195,7
წულუკიძე	29,0	ზესტაფონი	87,5

მაღლაკის, ჩოხატაურისა და ბუბრუჟების ჩაის ფაბრიკების ცნობები 20 მაისისა.

სსრ კავშირთან კულტურული კავშირის ირანული საზოგადოების დელეგაცია ბაქოში

ბაქო, 25 მაისი. (საქინფორმი). აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ბაქოს ჩამოვიდნენ სსრ კავშირთან კულტურული კავშირის ირანული საზოგადოების დელეგაცია და სამხრეთ აზერბაიჯანის ინტელიგენციის წარმომადგენლები. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირთან კულტურული კავშირის ირანული საზოგადოების გენერალური მდივანი აკადემიკოსი ნაფისი, საზოგადოების თავრიზის ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე საფვეტი, ირანის მეჯლისის დეპუტატები ადლი და სადრ-ღაზი, აკადემიკოსი გოლ-გოლაბი, თეირანის, თავრიზისა და არდებილის გაზეთების რედაქტორები პიშევარი, ტურაბი, ქათიბი, ჯოვდათი, საზოგადოების გამგეობის მდივანი სავაჭრო წრეების წარმომადგენელი ჰარირი, თავრიზის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე სადიგიანი, თავრიზის მიწათმოქმედების სამმართველოს უფროსი ბაზირგანი, პოეტები და მწერლები ბირია, მალექ-ომ-შოარა და სხვები; საზოგადო მოღვაწეები ნახჯევანი, რასული და გულუხან ბორჩალი; არდებილის განათლების სამმართველოს უფროსი დიბაჯი, ფეხლევის განათლების სამმართველოს უფროსი ტაბა-ტაბაი, რეშტის განათლების სამმართველოს უფროსი მოშკატი და სხვები.

დელეგაციას თან ახლდნენ სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი თეირანში ამხ. იაკუბოვი და სსრ კავშირის გენერალური კონსული თავრიზში ამხ. მატვეევი.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ნაფისიმ და საფვეტმა.

— ჩვენი [illegible] ხელოვნება და მუსიკა, ჩვენი ჩვეულებანი და ტრადიციები, — განაცხადა თავის სიტყვაში აკადემიკოსმა ნაფისიმ, — უდავოდ ამტკიცებენ ირანელი და აზერბაიჯანელი ხალხების განუყრელ კავშირს. კულტურული და ეკონომიური კავშირი ირანსა და აზერბაიჯანს შორის მუდამ არსებობდა და ვერავითარი ძალა ვერ გასწყვეტს ამ ურღვევ მეგობრობას, რომელიც ჩვენს ხალხებს აერთიანებს.

ირანის დელეგაცია აზერბაიჯანში დარჩა 13 დღეს. სტუმრები დაესწრნენ მიღებას, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობამ გამართა დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ნავთის სარეწები, მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, კონსერვატორია, ოპერისა და დრამატული თეატრები, მუზეუმები.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე ქალაქ კიროვაბადში — დიდი ნიზამის სამშობლოში. დელეგაციამ პოეტის საფლავი გვირგვინებით შეამკო.

სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, დაათვალიერეს საკოლმეურნეო სკოლა, კლუბი, ქოხ-სამკითხველო.

დელეგაციის მასპინძლისაგან მიიღო შეიხ-ულ-ისლამმა ალი-ზადემ, რომელმაც დაწვრილებით მოუთხრო მათ მუსლიმანური სარწმუნოების მდგომარეობაზე აზერბაიჯანში, სამღვდელოებისა და მორწმუნეთა დახმარებაზე წითელი არმიისადმი.

დელეგაციამ მხურვალე მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანელ ხალხს გულთბილი, გულთადი მიღებისათვის. მან თავისი აღტაცება გამოთქვა აზერბაიჯანელი ხალხის მიერ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგებში მიღწეული წარმატებების გამო.

სან-ფრანცისკოს ამერიკულ-რუსულ ინსტიტუტში სადილი გაიმართა გაერთიანებული ერების კონფერენციაში მონაწილე საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად

სან-ფრანცისკო, 28 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). სან-ფრანცისკოს ამერიკულ-რუსულმა ინსტიტუტმა გაერთიანებული ერების კონფერენციაში მონაწილე საბჭოთა კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგატთა პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზედაც იყო 500-ზე მეტი კაცი, მათ შორის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე. სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა გრომიკომ, მანუილსკიმ და კისელიოვმა, კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა უორენმა, რესპუბლიკური პარტიის მოღვაწემ კრამმა და ამერიკულ-საბჭოთა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა რობერტსმა. ყველა ორატორი ხაზგასმით აღნიშნავდა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის საჭიროებას მომავალი მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ლუბლიანას ჩავიდა მარშალი ტიტო

ბელგრადი, 27 მაისი. (საქინფორმი). გუშინ მარშალი ტიტო მინისტრ ხებრანგის, გენერალ-ლეიტენანტების ალექსანდრე რანკოვიჩის, პეკო დაპჩევიჩისა და პეტრე დრაპშინის და სხვა პირთა თანხლებით ლუბლიანას ჩავიდა. ფედერალური სლოვენიის მთავარი ქალაქის მოსახლეობამ გულმხურვალე შეხვედრა მოუწყო მას. მარშალ ტიტოს ჩასვლასთან დაკავშირებით მოწყობილ მანიფესტაციებში მონაწილეობას იღებდა ქალაქის 120 ათასი მცხოვრები. მარშალმა ტიტომ სიტყვა წარმოთქვა მოსახლეობის წინაშე. ზაგრებიდან ლუბლიანას მიმავალმა ტიტომ ინახულა თავისი სამშობლო სოფელი კუმროვეცი.

ჰიტლერის ხორვატიელი მარიონეტების დაპატიმრება

ბელგრადი, 27 მაისი. (საქინფორმი). ზაგრებიდან მიღებული ცნობით, იუგოსლავიის ხელისუფლებმა დააპატიმრეს პაველიჩის „მთავრობის“ ყოფილი „პრემიერ-მინისტრი“ ნიკოლა მანდიჩი, „მინისტრები“ იუსტიციისა ხანკი და განათლებისა მაკანეცი და სხვები. ყველა დაპატიმრებული საპყრობილეში მოათავსეს.

ჰიტლერისა და ჰიმლერის ნათესავთა დაპატიმრება

ლონდონი, 28 მაისი. (საქინფორმი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ამერიკის მე-3 არმიასთან იმყოფება, იუწყება, რომ გუშინ დააპატიმრეს ჰიტლერის ორი გათხოვილი და — ანგელა ჰამიჩი და პაულა ვოლფი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ინგლისის მე-2 არმიის შტაბთან იმყოფება, იუწყება, რომ მე-2 არმიის ნაწილებმა ტყვედ წამოიყვანეს ჰენრიხ ჰიმლერის ძმა, რომელიც სს-ელთა ჯარებში მსახურობდა.

ოსლოს მახლობლად აღმოაჩინეს ჰიტლერული სიკვდილის ბანაკი

ლონდონი, 28 მაისი. (საქინფორმი). როგორც ნორვეგიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ნორვეგიის შინაური ფრონტის რაზმებმა ბოლერნის კუნძულებზე, რომლებიც ოსლოფიორდის შესასვლელში მდებარეობენ, აღმოაჩინეს გერმანელების მიერ საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის მოწყობილი სიკვდილის ბანაკი. ამ ბანაკში მისი აღმოჩენის დროს იმყოფებოდა ავადმყოფი და მძიმე შრომით სრულიად გამოფიტული რამდენიმე ასეული საბჭოთა ადამიანი. გარდაცვლილთა რიცხვი ზუსტად ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, მაგრამ, უეჭველია, იგი რამდენიმე ასეულ კაცს შეადგენს. კუნძულზე ნორვეგიის შინაური ფრონტის ძალების შესვლისას ბანაკში 50-ზე მეტი დაპატიმრებული იმდენად დაუძლურებული იყო, რომ მათი გადარჩენა შეუძლებელი გახდა.

დაიწყო კვისლინგის გასამართლება

სტოკჰოლმი, 27 მაისი. (საქინფორმი). 26 მაისს ოსლოში დაიწყო კვისლინგის გასამართლება. მას ბრალად ედება სამშობლოს ღალატი, მტერთან თანამშრომლობა და თავისი თანამემამულეების განზრახ მკვლელობა. კვისლინგს ასამართლებს მთავარი მოსამართლე ჰუნარ გიულბრანდსენი, იცავს უმაღლესი სასამართლოს ადვოკატი ჰენრიკ ბერგი.

გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ ცნობით, საბრალდებო აქტის მთავარი მუხლები ასეთია: სამხედრო კანონის თანახმად, კვისლინგს ბრალად ედება გამცემლობა, უცხოეთის ბატონობისათვის ნორვეგიის დამორჩილებისადმი ხელის შეწყობა, ომის დროს მტრისათვის ხელის შეწყობა.

კვისლინგს წაყენებული აქვს აგრეთვე ბრალდება უკანონო საშუალებებით სახელმწიფო მმართველობის შეცვლაში და მკვლელობებში.

ბრალმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად შედგენილი ბრალდება მხოლოდ წინასწარია და იგი შეიძლება შევსებულ იქნას სასამართლო პროცესის მსვლელობის მიხედვით.

საბრალდებო აქტის გამოქვეყნების შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელმა კვისლინგს ჰკითხა, დამნაშავედ სცნობს თავს თუ არა, რაზედაც კვისლინგმა უარყოფითი პასუხი მისცა. მოსამართლის კითხვაზე, მიანდო თუ არა მას, კვისლინგს, ნორვეგიელმა ხალხმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომა, კვისლინგმა პასუხი არ გასცა. პირველი სხდომის დასასრულს გამოქვეყნდა სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კვისლინგი საპატიმროში უნდა იქნას მოთავსებული სასამართლოს მიერ საქმის გარჩევის დაწყებამდე.

ამით დამთავრდა სასამართლოს პირველი სხდომა.

მდგომარეობა კრეტაზე

ნიუ-იორკი, 27 მაისი. (საქინფორმი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, კუნძულ კრეტის მცხოვრებლები მოითხოვენ კრეტაზე მყოფ გერმანელ ოფიცერთა შეპყრობას, რათა ისინი გასამართლებულ იქნან როგორც ომის დამნაშავენი. კრეტაზე მყოფი 10.000 გერმანელი ჯარისკაცი დღემდე შეიარაღებულია, თუმცა ისინი ტყვეებს წარმოადგენენ და სპეციალურ რაიონებში ჰყავთ. მავთულმეშმოვლებულ ამ რაიონებში გერმანელები თავისუფლად მიდიმოდიან, იარაღს ატარებენ და სამხედრო ავტომობილებს იყენებენ პატრულობისათვის. კრეტის მცხოვრებ ბერძენთა განცხადებით, გერმანელები მათი განიარაღების დაყოვნებას იმისათვის იყენებენ, რომ მოსპონ სამხედრო მასალები, რომლებიც მათ უნდა ჩამოერთვას.

კრეტის მცხოვრებლები მტკიცედ მოითხოვენ, რომ კუნძულ კრეტიდან გაგზავნილ იქნან რიგითი გერმანელები, ამასთან დაჟინებით მოითხოვენ, რომ გერმანელი ოფიცრები, რომელთაც ბრალად ედებათ სამხედრო დანაშაულობანი, შეპყრობილ იქნან, რათა ისინი სწორედ იქ გაასამართლონ, სადაც მოწმეები იმყოფებიან.

თვითმფრინავთა წარმოების შემცირება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 28 მაისი. (საქინფორმი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მომავალში მკვეთრად შემცირდება თვითმფრინავთა წარმოება ევროპაში ომის დამთავრებისა და ლენდ-ლიზით მიწოდებათა შემცირების გამო. აღნიშნავენ, რომ აღარ გამოუშვებენ იმ 17 ათას თვითმფრინავს, რომელთა დამზადებაც წინათ განზრახული იყო მახლობელი წლინახევრის განმავლობაში. წარმოების შემცირება ეხება უდიდესი თვითმფრინავთმშენებელი ფირმების უმეტესობას.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 28 მაისი. (საქინფორმი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბის ცნობას, იმის შესახებ, რომ ფილიპინებზე ამერიკელთა ჯარების გადასხდომის დაწყებიდან იაპონელთა საერთო ზარალი შეადგენს 378.427 კაცს მოკლულთა და ტყვეთა სახით. ამერიკელებმა 48.044 კაცი დაჰკარგეს.

ამერიკის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ ფორმოზას, აგრეთვე იაპონიის ნაგებობებს საფრანგეთის ინდო-ჩინეთში და საწვავის საწყობებს შანხაიში.

ვაშინგტონი, 28 მაისი. (საქინფორმი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბი იუწყება, რომ ამერიკელთა საბაზო ხომალდებმა, კრეისერებმა და სხვა ხომალდებმა გააფთრებით დაუშინეს იაპონელთა ჯარების განლაგებას სიურის სამხრეთით (კუნძული ოკინავა). ამერიკის მე-10 არმიის ნაწილები შეტევას განაგრძობდნენ მაშინ, როცა სხვა ჯარები ამაგრებდნენ დაკავებულ პოზიციებს და ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ. ავიაცია, რომელსაც ბაზები სწრაფმავალ ავიანოსნებზე აქვს, თავს დაესხა რიუკიუს კუნძულების ჩრდილოეთ ნაწილს.

პარტიული ცხოვრება

მეტი ყურადღება საწარმოო საკითხებს

ორი თვის წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა შეამოწმა მექქვე საკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. რაიკომის ბიურომ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ფაბრიკის 72 კომუნისტიდან მხოლოდ 48 ამხანაგი ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს, არ არის ჩამოყალიბებული ქარხნული პოლიტწრე, რის გამოც 15 ამხანაგი ...

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პლენუმი

თბილისი. კიროვის სახელობის ქარხანა. სურათზე: საამქროს უფროსის მოადგილე ა. კანდელაკი (მარცხნივ) საწარმოო დავალებას აძლევს საამქროს ოსტატს, ორდენოსან ვ. შაუთიძეს. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გეგმას ყველა უბანი და ცვლა უნდა ასრულებდეს

ტყიბული („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის იმ უბნებმა, რომლებსაც ლ. ვაშაკიძე და გ. ფანჩულიძე ხელმძღვანელობენ, უკვე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების მაისის გეგმები. გ. ფანჩულიძის უბნის მეშახტეები ახლა გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად 60-70 ტონა ქვანახშირს იღებენ, ხოლო ლ. ვაშაკიძის უბნის მეშახტეები — 90-100 ტონას. ეს უბნები ქვანახშირის ამოღების ყოველდღიურ დავალებას 150-155 პროცენტით ასრულებენ.

სტალინის სახელობის შახტის პირველმა უბანმა, რომელსაც შ. შოთაძე ხელმძღვანელობს, ქვანახშირის ამოღების ერთთვიური გეგმა 22 მაისს შეასრულა. მაისში პირველობას ტრესტის მასშტაბით კვლავ ამხ. ე. ყანჩაველის ცვლა ინარჩუნებს. მან ქვანახშირის ამოღების მაისის დავალება 20 დღეში გაანაღდა. ქვანახშირის მჭრეველმა დ. წერეძემ, მებიგეებმა ი. ილუშინმა და ა. ყიფშიძემ თვენახევრის გეგმები 20 დღეში შეასრულეს.

მაგრამ ცალკეული უბნებისა და ცვლების წარმატება როდი წყვეტს გეგმის შესრულების ბედს საერთოდ ტრესტის მასშტაბით. თვის დასაწყისიდან ტრესტის ვერცერთი შახტი ვერ ასრულებს გეგმას. ქვანახშირის ამოღების გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან ნ. გიორგაძის, ნ. ქარქაშაძის და ნ. ცერცვაძის საექსპლოატაციო უბნები. საჭირო ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ გეგმას ყველა უბანი და ყველა ცვლა ასრულებდეს.

დ. ქათამაძე

ქვანახშირის ამოღების ტემპები ძლიერდება

ტყვარჩელი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ელექტრომავლებს განუწყვეტლივ მოაქვთ შახტიდან გეგმის გადამეტებით ამოღებული ქვანახშირით სავსე ვაგონები. ტყვარჩელქვანახშირის მოწინავე მეშახტეები შეუნელებლივ აძლიერებენ ქვანახშირის მოპოვების ტემპებს. უმჯობესდება ქვანახშირის ხარისხი, მცირდება თვითღირებულება.

ტყვარჩელში ცნობილი სემივოლოსელი მეშახტეები ამხ. ცავა, ბერაშვილი, ლავუსინი, სიტნიკოვი და სხვები ხშირად დღეში 2-3 ნორმას ასრულებენ. კარგად მუშაობენ აგრეთვე სტალინის სახელობის შახტის მეხუთე უბნის მერემონტეები, რომელთაც ამხ. ზაიკინი ხელმძღვანელობს.

ა. ლეფთერიძე

ზესტაფონელი მეტალურგების ახალი წარმატება

ზესტაფონი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ქარხანამ ომის ძლევამოსილი დათავრების აღსანიშნავად მიმდინარე თვის დავალება 27 მაისისათვის შეასრულა. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობენ სადნობი და მარგანეცის საამქროები, რომლებმაც 5 დღით ადრე შეასრულეს ლითონის დნობის თვიური დავალება და ამავე დროს დიდი რაოდენობით დაზოგეს ელექტროენერგია.

თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში ქარხნის კოლექტივი გეგმის გადამეტებით სამშობლოს საჩუქრად მიუძღვნის რამდენიმე ას ტონა მაღალხარისხოვან ლითონს.

პ. ჭიოკაძე

ურღვევენ ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს

გურჯაანი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). რკინიგზის ტრანსპორტზე ტექნიკური ექსპლოატაციის წესების ზუსტად დაცვა უაღრესად მუშაობის მთავარი პირობაა, მაგრამ გურჯაანის სადგურში სისტემატურად ირღვევა ისინი. სრულიად მოუწესრიგებელია საისრე მეურნეობა. ანათებენ მხოლოდ 5-7-მდე ისარს, დანარჩენ ისრებს ან მინები აქვს ჩამტვრეული ანდა ჩასადგმელი ლამპები არა აქვთ — და ყოველდამე ჩაბნელებულია.

არასასურველი მდგომარეობაა სადგურის შენობაშიც. ბაქანი სულ მთლად გაუნათებელია, რაც ხელს უშლის მგზავრთა მიმოსვლას და კულტურულ მომსახურებას. ნოსაცდელ დარბაზში უსუფთაობაა.

სადგურის ადმინისტრაცია (უფროსი თ. ხინთიბიძე) აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის არ ზრუნავს.

ვ. ციხისთავი

კიდევ მეტი და უფრო მაღალხარისხოვანი პროდუქცია უნდა მოგვცეს სარეწაო კოოპერაციის სისტემამ

26 და 27 მაისს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემის ხელმძღვანელი ორგანოს — სარეწაო კავშირის საბჭოს მესამე პლენუმი, რომელმაც განიხილა საწარმოო დავალებათა შესრულების მიმდინარეობა და დასახა ღონისძიებები ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გასაძლიერებლად.

...

წარმოების მეთაურთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი

...

აგრონომის რჩევა-დარიგება

როგორ გამოვკვებოთ აბრეშუმის ჭია

აბრეშუმის ჭიის ხშირი კვება, გამოსაკვები მოედნის ნორმების დაცვა, ნორმალური ტემპერატურისა და ტენიანობის შექმნა ძირითადი პირობებია უმოკლეს დროში აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის. ...

ჩაის ფოთლის კრეფა

წყალტუბო („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება წარმატებით შეასრულეს — მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 48.270 კილოგრამი ფოთოლი, გეგმის 114,9 პროცენტი.

პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 1.603 კილოგრამი. მაისის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სოფელ ფარცხნალყანევის სტალინის, სოფელ წყალტუბოს თავდაცვა-ავიაქიმის და სოფელ მაღლაკის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ს. ფხაკაძე

საგაზაფხულო თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწსახკომის 25 მაისის ცნობებით)

რაიონები	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	81,6	ბოგდანოვკა	98,4
აჭარის ასსრ	93,5	ახალციხე	101,3
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	88,8	ადიგენი	104,2
აბაშა	76,7	ასპინძა	104,8
ცხაკაია	100,3	ხაშური	102,4
გეგეჭკორი	97,6	ქარელი	101,0
ზუგდიდი	85,5	გორი	100,5
ხობი	98,0	კასპი	101,0
წალენჯიხა	102,0	ბორჯომი	80,0
ჩხოროწყუ	100,1	წალკა	65,2
მახარაძე	100,1	დუშეთი	89,5
ლანჩხუთი	81,2	თეთრი წყარო	100,4
ჩოხატაური	100,9	თიანეთი	63,7
ფოთი	100,2	ყაზბეგი	24,2
ქუთაისი	100,2	ქლუხორი	105,5
წყალტუბო	100,0	გურჯაანი	89,2
სამტრედია	85,5	კაჭრეთი	101,4
წულუკიძე	91,4	სიღნაღი	99,0
ვანი	98,2	წითელწყარო	117,7
მაიაკოვსკი	97,1	თელავი	100,2
ზესტაფონი	100,3	ახმეტა	100,2
ჩხარი	89,6	ყვარელი	99,6
ჭიათურა	100,0	ლაგოდეხი	87,2
საჩხერე	100,5	თბილისი	103,3
ორჯონიკიძე	101,5	მცხეთა	103,1
ტყიბული	96,4	ყარაია	88,2
ონი	102,3	ბორჩალო	85,9
ამბროლაური	101,0	ბოლნისი	93,1
ცაგერი	96,1	საგარეჯო	100,0
ქვემო-სვანეთი	98,3	ბაშკიჩეთი	96,0
ახალქალაქი	96,9	ახალიხევი	95,2

აბაშისა და ზუგდიდის რაიონების ცნობები 20 მაისისაა.

1945 წლის 8 მაისს ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში ხელმოწერილ იქნა აქტი გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.
სურათზე: სახლი ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში, სადაც ხელმოწერილ იქნა აქტი გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.
ფოტო ფ. კისლოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

მინდვრად მომუშავეს სანიმუშო სამედიცინო მომსახურება

საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები მთელი ენერგიით იბრძვიან 1945 წლის უხვი მოსავლისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების ამოცანაა სანიმუშო საექიმო მომსახურება გაუწიონ მინდვრად მომუშავეებს, გააჯანსაღონ სამუშაო ადგილები, გაატარონ ყოველგვარი სანიტარული და პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ მინდვრის სამუშაოთა პერიოდში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საჭირო საექიმო-სანიტარული მომსახურებისათვის. მიღებულია მთელი რიგი ზომები მინდვრად მუშაობის დროს კოლმეურნეთა სამკურნალო დახმარების ორგანიზაციისათვის. რაიონული ცენტრების აფთიაქებს დაევალათ პირველი დახმარების აფთიაქების დაკომპლექტება მედიკამენტებითა და შესახვევი მასალით; რაიონებისათვის გამოყოფილია დამატებით 500-მდე პირველი დახმარების აფთიაქი, აგრეთვე მედიკამენტები და შესახვევი მასალა; ადგილებზე გაგზავნილია სახელმძღვანელოები სამედიცინო დებისათვის.

საგაზაფხულო სამუშაოთა სამედიცინო მომსახურების უკეთ დაყენებისათვის საჭიროა სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის სანიტარულ-ჰიგიენური კეთილმოწყობა, საკვებ პროდუქტებსა და სასმელ წყალზე სანიტარული ზედამხედველობის გაძლიერება, მოსახლეობაში მალარიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება (მალარიით დაავადებულთა გამოვლინება, აკრიქინიზაცია, მკურნალობა, მალარიული კერების დამუშავება, ბონიფიკატორების გამოყოფა და სხვ.), პროფილაქტიკური აცრები, ბავშვთა სეზონური ბაგების მოწყობა, მათი უზრუნველყოფა ბინით, კვებით და საჭირო მედიკამენტებით, ბაგების მედპერსონალის გადამზადება, ბავშვთა საექიმო დახმარებით უზრუნველყოფა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილებზე საზოგადოებრივი ინსპექტორებისა და ბრიგადირების მომზადებას, რათა მათ შეძლოთ ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვა, თვითდახმარება და ურთიერთდახმარება. ამ მიზნით ბრიგადებს ურიგდებათ პირველი დახმარების აფთიაქები, ინდივიდუალური პაკეტები და შესახვევი მასალა.

სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასამყარებლად ადგილებზე უნდა მოეწყოს სანიტარული ერთთვიური, რომ დროულად გაიწმინდოს დასახლებული ადგილების ტერიტორია, ეზოები, წყალსაცავები, სავალე სადგომები, გამოკვლეულ და სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაში მოყვანილ იქნას სასმელი წყლის წყაროები. ასევე სანიმუშო წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი კვების ობიექტები.

სოფლის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობა ისე უნდა გარდაიქმნას, რომ ადრე დილიდან გვიან საღამომდე კოლმეურნეს შეეძლოს მიიღოს საექიმო დახმარება. რაიონის ცენტრიდან გასულმა საექიმო ბრიგადებმა უნდა გაშალონ მუშაობა მინდვრის პირობებში.

მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა თავიდან აცილების საქმეში. ამ მიზნით ადგილებს ეგზავნებათ პოპულარული ბროშურები მუცლის ტიფსა და მალარიაზე, აგრეთვე პლაკატები, ფურცლები დაავადებათა და სანიტარული წესების შესახებ, მინდვრად მუშაობის პერიოდში ჩატარდება 5 ათასამდე საუბარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად რაიონებზე მიმაგრებულია 80-მდე პროფესორი, დოცენტი და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

რაიონებსა და სოფლის საექიმო უბნებს შორის ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება მინდვრად მუშაობის პერიოდში მოსახლეობის საუკეთესო სამკურნალო-სანიტარული მომსახურებისათვის. ხობის, ამბროლაურის, ონის რაიონების მედიცინის მუშაკები უკვე ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში და გამოიწვიეს სხვა რაიონები.

მინდვრის სამუშაოთა სამედიცინო მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. მისი სანიმუშოდ დაყენებისათვის საჭიროა დაირაზმოს სოფლის სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის მთელი კოლექტივი.

ალ. მინდაძე

საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი

დემიან ბედნის კუბოსთან

27 მაისს მოსკოვის საზოგადოებრიობა გამოეთხოვა ნიჭიერ რუს პოეტ — იგავთმწერალ დემიან ბედნის.

საბჭოთა მწერლების კავშირის კონფერენც-დარბაზი, რომელშიც განსვენებულის ცხედარი ასვენია, სამგლოვიაროდ არის მორთული. მაღალ პოსტამენტთან აწყვია გვირგვინები სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისაგან, უკრაინის მწერლებისაგან, „პრავდის" რედაქციისაგან, საზოგადოებრივი და ლიტერატურული ორგანიზაციებისაგან, ნათესავ-მეგობრებისაგან.

ორ ალისფერ ბალიშზე არის წითელი დროშის ორდენი და ლენინის ორდენი, რომლებითაც მთავრობამ დააჯილდოვა ტრიბუნი პოეტი სამშობლოს წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

კუბოს ჩაუარეს მოსკოვის საწარმოთა მუშებმა, მეცნიერების მოღვაწეებმა, ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატებმა, ინჟინრებმა და სტუდენტებმა, სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებმა, რომლებიც თანაბარი მგზნებარებით სცემდნენ პატივს დემიან ბედნის მძლავრ პოეტურ ნიჭს. საყვარელ პოეტთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ წითელი არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, ისინი, რომლებსაც მეომარი პოეტის მგზნებარე ლექსები აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში, საგმირო საქმეებისათვის აღაგზნებდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში.

გაისმის ჩაიკოვსკის, შოპენის, ბეთჰოვენის სამგლოვიარო მელოდიები. საპატიო ყარაულში დგებიან ნ. ტიხონოვი, ვ. ვიშნევსკი, ი. ერენბურგი, ს. მიხალკოვი, ს. მარშაკი, ს. შჩიპაჩევი, ვ. შკლოვსკი, ვ. ლებედევ-კუმაჩი, პ. პოსპელოვი და სხვები. ყარაულს ეწყობიან წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები — დიდი ბრძოლების მონაწილეები, რომლებმაც გაიარეს საბრძოლო გზა სტალინგრადიდან ბერლინამდე. ისინი მოვიდნენ, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის წინაშე, რომლის მთელი შემოქმედება გამსჭვალული იყო ღრმა პატრიოტული გრძნობით, საბჭოთა იარაღის გამარჯვების ურყევი რწმენით.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ტიხონოვი ხსნის სამგლოვიარო კრებას.

„პრავდის" სარედაქციო კოლეგიის სახელით გამოდის ა. სიროტინი, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დემიან ბედნი სამ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ბოლშევიკური „პრავდის" აქტიური თანამშრომელი იყო.

მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა ვს. ვიშნევსკიმ; მან აღნიშნა, რომ წითელი არმიის მეომრებს დიდად უყვარდათ დემიან ბედნი მისი მგზნებარე ლექსებისათვის, რომლებიც მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღაფრთოვანებდნენ მათ სამოქალაქო ომის წლებშიც და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის წლებშიც.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ვ. ლებედევ-კუმაჩმა და ო. ლიტოვსკიმ.

18 საათია. გაისმის სამგლოვიარო მარშის ხმები. მეგობარ-ნათესავებს გამოაქვთ კუბო კონფერენც-დარბაზიდან. სამგლოვიარო პროცესია კრემატორიუმისაკენ მიემართება. აქ შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი, რომლის დროსაც სიტყვები წარმოსთქვეს ვ. ვასილიევმა და ბ. გორბატოვმა.

გაისმის სევდიანი მელოდია. მას სცვლის დიდებული ჰანგები, რომლებიც სიმბოლოა იმ დიადი საქმის უკვდავებისა, რისთვისაც მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა დემიან ბედნი, პარტიული ჰიმნის — „ინტერნაციონალის" ჰანგები.

18 საათსა და 30 წუთზე მოხდა კრემაცია. (საკდესი).

ვაგზლის მშენებლობა ლვოვში

გერმანელმა დამპყრობლებმა დაანგრიეს ლვოვის ვაგზლის მშვენიერი შენობა, რომლის ადგილას ნანგრევები-ღა დასტოვეს. ამჟამად დაწყებულია ახალი ვაგზლის აგება კიეველ [illegible]

და კომფორტაბელური დარბაზები, საერთო საცხოვრებლები, სასტუმრო რესტორანი. თითქმის მთელი მეორე სართული დაეთმობა დედისა და ბავშვის ოთახებს.

[illegible] 14 მილიონ [illegible] (საკდესი).

„ფრანკოს რეჟიმი კანონს გარეშე უნდა გამოცხადდეს"

ინგლისური გაზეთის აზრი ფრანკოს შესახებ

ლონდონი, 28 მაისი. (საკდესი). გაზეთი „სტარი" მოწინავეში კომენტარს უკეთებს საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეის საგარეო საქმეთა კომისიის მოთხოვნას ფრანკოს თავიდან მოშორების შესახებ და სწერს: „იბერიის ნახევარკუნძული ხრის ფაშიზმის უკანასკნელი ბუდე ევროპაში. 100.000 გერმანელი, რომლებიც ნახევარკუნძულის მუდმივი მცხოვრებნი გახდნენ, მომავალი შფოთის მძლავრ წყაროს წარმოადგენს. ყველა ისინი ნაცისტები არიან, რომელთაც თავშესაფარი მისცა ჰიტლერის ყველაზე უფრო ერთგულმა თანამონაწილემ ევროპაში. ფრანკოს რეჟიმი კანონს გარეშე უნდა გამოცხადდეს. მოკავშირეებს არ შეუძლიათ პასიური დარჩნენ იმ დროს, როცა ფრანკო კვლავ საფრთხეს უქმნის მშვიდობას ევროპაში.

კონსტანცაში აღმოჩენილია ფაშისტთა ტერორისტული ორგანიზაცია

ბუქარესტი, 26 მაისი. (საკდესი). გაზეთების ცნობით, რუმინეთის ნავსადგურ კონსტანცაში აღმოჩენილია ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა გერმანიაში მყოფი გამოჩენილი ლეგიონერების (რუმინელი ფაშისტების) ხელმძღვანელობით. ამ ორგანიზაციაში, რომელსაც „წინააღმდეგობის ცენტრი" ეწოდებოდა, შედიოდნენ ცნობილი ლეგიონერები ნოლმერი, ნასკუ, ოპროკე, ნეგოიუ. ამ ორგანიზაციამ მოაწყო გაქცევა მთელი რიგი ჰიტლერელებისა კონსტანცის საკონცენტრაციო ბანაკიდან. გაქცევის მომზადებაში მონაწილეობას იღებდა საზოგადოება „მოტოკულტურის" მოხელეთა ჯგუფი. დაპატიმრებულთა ბინებში იპოვნეს იარაღი, გრანატები, საომარი მასალა. ორგანიზაციის ამოცანა იყო ბანაკებიდან გაქცეულ გერმანელებთან ერთად განეხორციელებინა საბოტაჟის და ტერორის აქტები.

არგენტინაში გრძელდება ანტიფაშისტ მოღვაწეთა დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 27 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" იუწყება, რომ მთელ არგენტინაში გრძელდება გამოჩენილ ანტიფაშისტ მოღვაწეთა დაპატიმრება და დევნა. 24 მაისს არგენტინის მთავრობამ არგენტინიდან გააძევა ლათინური ამერიკის ცნობილი კარიკატურისტი სალაზარი. დაპატიმრებულია ცნობილი ტურისტი სატანოვსკი, ყოფილი გუბერნატორი და სენატორი მენდოსის პროვინციიდან სეგურა და სხვ. დაპატიმრება ხდება წინათ არნახული მასშტაბით.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიისა და ფლოტის ზარალი

ვაშინგტონი, 27 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ და საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადეს, რომ ამერიკის არმიისა და ფლოტის საერთო ზარალი ამა წლის 14 მაისამდე შეადგენს 996.089 კაცს; აქედან ამერიკის არმიის ზარალი შეადგენს 181.739 კაცს მოკლულთა სახით, 550.506 — დაჭრილთა სახით, 57.802 — უკვალოდ დაკარგულთა სახით, 96.478 კაცს ტყვეთა სახით; სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზარალი შეადგენს 42.807 კაცს მოკლულთა სახით, 52.005—დაჭრილთა სახით, 10.505 —უკვალოდ დაკარგულთა სახით, 4.247 კაცს ტყვეთა სახით.

ერაყის რეგენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა

ნიუ-იორკი, 27 მაისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 25 მაისს ერაყის რეგენტი აბდულ ილახი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა ოფიციალური ვიზიტით. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი წარმოადგენს პრეზიდენტ ტრუმენის მიწვევის პასუხს.

ერაყის მისიამ ვაშინგტონში განაცხადა, რომ ერაყის რეგენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა მხოლოდ-მხოლოდ იმისათვის, რომ გაეცნოს ჰიდროელექტრონაგებობებს, აგრეთვე შეისწავლოს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

იტალიის ახალი პროვინციების გადაცემა იტალიის ადმინისტრაციის გამგებლობაში

ლონდონი, 26 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო რომიდან გადმოგვცემს მოკავშირეთა კომისიის ცნობას, რომ ფლორენციისა და ლუკის პროვინციები ივნისის დამდეგს გადაცემულ იქნება იტალიის ადმინისტრაციის გამგებლობაში.

28 მაისიდან უქმდება ეკონომიური საზღვარი სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონებს შუა.

ტოლიატისა და ნენის მომავალი დაბრუნება რომში

რომი, 27 მაისი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ პალმირო ტოლიატი დღეს საღამოს დაბრუნდება რომში. მოელიან, რომ ნენი რომში დაბრუნდება 28 მაისს.

ქალაქ ვიტკოვიცის მეტალურგიულმა ქარხნებმა მუშაობა განაახლეს

პრაღა, 25 მაისი. (საკდესი). ამუშავდა ქალაქ ვიტკოვიცის მეტალურგიული ქარხნები— ერთ-ერთი უდიდესი ქარხნები ევროპაში. ქარხნებში მუშაობს 45 ათასამდე მუშა-მოსამსახური.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ღონისძიებანი

პრაღა, 25 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ მოამზადა კანონი გერმანელთა კერძო და საზოგადოებრივი მოძრავი და უძრავი ქონების, აგრეთვე გამცემთა ქონების ერის საკუთრებად გადაცემის შესახებ. კანონი მახლობელ დღეებში გამოქვეყნდება რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტის სახით.

შვედი ოფიცრების „სტუმართმოყვარეობა"

სტოკჰოლმი, 26 მაისი. (საკდესი). შვედურმა გაზეთმა „ექსპრესენმა" გამოაქვეყნა გაზეთ „ნორშესფლამანის" ცნობა იმის შესახებ, რომ ამას წინათ ნორვეგიიდან შვეციაში ჩამოვიდა გერმანელ სამხედრო პირთა ჯგუფი ერთი პოდპოლკოვნიკის, 20 ოფიცრისა და უნტერ-ოფიცრის შემადგენლობით. ამ პირების ბარგი არ გაუსინჯავთ, და ყველა ისინი მოსვლისთანავე გაგზავნეს შვეციის ოფიცერთა სასადილოში, სადაც მათ საუცხოო სადილი მიართვეს. ამის შემდეგ შვედმა ოფიცერმა გერმანელებს განუცხადა, რომ, რადგან ისინი დაღლილი არიან, დღეს მათ არ დაჰკითხავენ. შვედმა ჯარისკაცებმა გასწმინდეს ბარაკი, რომელიც გერმანელების განკარგულებაში იყო გადაცემული.

რამდენიმე დღის შემდეგ ნორვეგიიდან შვეციაში ჩამოვიდა რამდენიმე რუსი, მათ შორის ერთი პოდპოლკოვნიკი და ერთი კაპიტანი. აქ შვედი ოფიცრების მოქცევა სრულიად გამოიცვალა. რუსები მოათავსეს მეტად ძველ შენობაში, სადილი მათ გვიან საღამოს მიიღეს. ოფიცერთა სასადილოში ისინი არ მიუწვევიათ. მათ მუდმივად მიყენებული ჰყავდათ მცველები, მაშინ როცა გერმანელი ოფიცრები მიმოსვლის თავისუფლებით სარგებლობდნენ.

გაზეთი „ექსპრესენი" ამის გამო აცხადებს: „საჭიროა მალე და საფუძვლიანად იქნას გამოკვლეული გაზეთ „ნორშესფლამანის" მიერ აღნიშნული შემთხვევები".

უცხოეთის ქრონიკა

ამერიკის ჯარებმა ავსტრიაში შეიპყრეს ჰიტლერის ერთ-ერთი უახლოესი დამქაში — ობერგი.

* * *

თავი მოიკლა გენერალმა რიტერ ფონ გრაიმმა, რომელიც გერინგის შემდეგ გერმანიის საჰაერო ძალებს სარდლობდა.

* * *

ინგლისის ჯარებმა დააპატიმრეს დანციგის ყოფილი ჰიტლერელი გაულაიტერი ფორსტერი.

ქალაქ პრაღის სამხედრო კომენდანტმა საზეიმო საღამო მოაწყო წითელი არმიისა და ჩეხოსლოვაკიის 1-ლი კორპუსის პატივსაცემად.

* * *

ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტთა ნაციონალურმა კავშირმა კავშირის შემადგენლობიდან გარიცხა 47 ჟურნალისტი, რომლებიც გერმანელთა ოკუპაციის დროს ჰიტლერელებთან თანამშრომლობდნენ.



აღდგენილი სკოლა № 3 ქალაქ სტალინგრადის ერმანსკის რაიონში.
ფოტო გ. ვლინსკაიასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების VI სამეცნიერო სესია

29 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, რომელიც მიძღვნილია მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მავნებელთა და ავადმყოფობათა შესწავლის საკითხებისადმი.

სესიის პირველ სხდომაზე 28 მაისს მოსმენილი იქნა სამი მოხსენება: **1) პროფესორი ი. ბათიაშვილი** — „მასალები შაქრის ჭარხლის მავნე ფაუნის შესახებ ქართლის პირობებში".

2) **უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. თულაშვილი** — „მასალები მინდვრის და ტექნიკურ კულტურათა უმთავრეს მავნებელთა გამრავლების დინამიკის შესახებ საქართველოში".

3) **პროფესორი ლ. კალანდაძე** „მარცვლეული პურეულის მავნე მწერებთან ბრძოლის თანამედროვე აგროტექნიკური საშუალებანი".

მეორე სხდომაზე 29 მაისს მოხსენებებს წაიკითხავენ:

1. **პროფესორი ს. ქარუმიძე** — „მინდვრის თაგვის წინააღმდეგ ქიმიური მეთოდის გამოყენებისათვის".

2. **უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. წერეთელი** — „დიქლორიდები (სინთეზური კაუჩუკის ნარჩენები) და ნავთობის პროდუქტები, როგორც პურეულის თესლის დეზინფექტორები".

3. **უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ი. შოშიაშვილი**—„სიმინდის დიპლოდიოზი საქართველოში".

სესია იმუშავებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) დილის 11 საათიდან.

ფეხბურთი

ექვსი ქულა

27 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მესამე კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. მის წინააღმდეგ თამაშობდა „ხალგაზრდა გუნდი — მინსკის „დინამო".

თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. მეთვრამეტე წუთზე თბილისელი ანთაძე ზუსტი კუთხური დარტყმით ხსნის ანგარიშს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ანთაძეს კვლავ გააქვს ბურთი მინსკელთა კარებში.

თბილისელთა მწყობრი იერიშები არ შენელებულა არც თამაშის მეორე ნახევარში. ოცდამეხუთე წუთზე თბილისელი მარცხენა გარემარბი პანიუკოვი, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით კარგად თამაშობდა, გადადის გარღვევაზე და ძლიერად ურტყამს ახლო მანძილიდან. მესამე ბურთი ბადეშია. თამაშის დამთავრებამდე თბილისელმა ბერეჟნოიმ კიდევ ორი ბურთით გაზარდა გატანილი ბურთების რაოდენობა. მესამე კალენდარული შეხვედრა თბილისის „დინამომ" მოიგო ანგარიშით 5 : 0.

ამრიგად, თბილისის „დინამო" სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერია. მან სამი ჩატარებული შეხვედრიდან სამივე მოიგო და ექვსი შესაძლებელი ქულიდან მოაგროვა ექვსი.

27 მაისს სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მესამე კალენდარული დღის შეხვედრები ფეხბურთში.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „ტორპედოს" და „სპარტაკის" გუნდები. პირველი ტაიმი დამთავრდა „ტორპედოს" სასარგებლოდ — 2 : 0. მეორე ტაიმიც მიმდინარეობდა „ტორპედოს" დიდი უპირატესობით. შეხვედრა დამთავრდა „სპარტაკის" დამარცხებით — 0 : 5.

წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა მორიგი შეხვედრა ჩაატარა კიევში ადგილობრივ „დინამოსთან". უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მატჩის განმავლობაში კიეველები ცუდად თამაშობდნენ, თამაში დამთავრდა წითელარმიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 7 : 0.

სტალინგრადში თამაშობდნენ ადგილობრივი „ტრაქტორისა" და 1944 წლის „სსრ კავშირის თასის" გათამაშებაში გამარჯვებული „ზენიტის" გუნდები. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია. მეორე ტაიმის პირველ წუთებშივე სტალინგრადელებმა გაიტანეს ბურთი სტუმრების კარებში, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თამაშში. შეხვედრა დამთავრდა „ტრაქტორის" გამარჯვებით — 1 : 0.

ა. გოგოლაშვილი

ლექცია

30 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) ახალგაზრდობისათვის შესდგება ამხ. **ო. ტატიშვილის** ლექცია ქართულ ენაზე.

თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

სემინარი

29 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში შესდგება ქალაქის რაიკომების პარტკაბინეტთა გამგეების სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: **„მარქსიზმის ფილოსოფიური წინამორბედნი".** სემინარს უხელმძღვანელებს დოცენტი **ნ. ცხაკაია.**

29 მაისს, დილის 10 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში სახელმწიფო სასწავლებელთა მუშაკებისათვის შესდგება მორიგი სემინარი თემაზე: **„ლ. პ. ბერიას წიგნი—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის"** (მესამე თავი).

კონსულტაცია

30 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პოლიტეკონომიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია. კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. **ბაჯაძე** (ქართულ ენაზე) და ამხ. მელაძე (რუსულ ენაზე).

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—29/V—„ტოსკა", 30/V—„აიდა". **რუსთაველის სახელობის**—29, 30/V—„ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის** — 29, 30/V — „ფიქრის გორა". **მუსიკალური კომედიის** — 29/V — „მახარობის სიყვარული", 30/V — „მზის დაბნელება". **სანკულტურის** — 29/V — „სევდიანი რომანი". **გრიბოედოვის სახელობის** — 29, 30/V — „ტყე". **სომხური** — 29/V — „დიდი ქორწილი", 30/V — „სომეხი ქალი". **ახუნდოვის სახელობის** — 29/V—„არშინ-მალ-ალან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1945 წლის 7 ივნისს, დილის 11 საათზე, აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **მიხეილ მიხეილის-ძე ივაშჩენკო** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: «Устройство погребальных сооружений и способ погребения в некрополе питиахшей в Армази».

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, დოქტორი **გ. ნიორაძე** და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. აფაქიძე.**

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში სამუშაო საათებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი აცხადებენ, რომ 1945 წლის 7 ივნისს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ნაშუადღევის 2 საათზე შესდგება ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოთა გაერთიანებული საჯარო სხდომა, რომელზეც მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერი თანამშრომელი არქიტექტორი **ნიკოლოზ გიორგის-ძე ჩუბინაშვილი** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: «Архитектура Гударехского главного храма в ансамбле средневекового города».

ოფიციალური ოპონენტები: არქიტექტურის საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი **ნ. სევეროვი,** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ვ. ბერიძე.**

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში სამუშაო საათებში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკები იუწყებიან ვ. თოხაძის მამის, **ალისტრახო თოხაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე რიფსიმე, შვილები მარუსია, კაკო, შვილიშვილი სვეტლანა იუწყებიან **გიორგი ელისეს-ძე ჰუონიას** გარდაცვალებას.

რკინიგზის საფერშლო სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი იუწყებიან მასწავლებელ **ნიკოლოზ ბახიას** გარდაცვალებას.

ნ. მჟავია, ნ. ხომერიკი, ც. სალუქვაძე, ნ. კვირკელია, ნ. ღლონტი იუწყებიან კუკურის მამის, დამსახურებული პედაგოგის **მანასე ბესარიონის-ძე ბურჭულაძის** გარდაცვალებას.

შვილები შალვა, ნინო, გიორგი, რძალი ლენა, შვილიშვილი თემიკო იუწყებიან **ნესტორ ასლანის-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30/V, 7 ს. გამოსვენება 31/V, 6 ს. პეტრიაშვილის, 19/3.

გარინკა ესაიაშვილი შვილებით თამარით, დავითით და ქეთოთი, სიძით სერგო, ჩარკვიანით იუწყება **აბესალომ ივანეს-ძე აბდუშელიშვილის** გარდაცვალებას.

დედა ბაბილინა გელოვანი, ბიძები გრიგოლ, ვიქტორ ჯაფარიძეები შვილებით, დეიდები მარიამი, ცუცა იუწყებიან **გივი ივლიანეს-ძე გელოვანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29/V, 6 ს. რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოდან.

მშობლები კონსტანტინე, მინუცა, ძმები გვანჯი, გრიშიკო, სიძე აბრამ მეუღლით მართით ჭითანავები, კლავდია ჭანტურია იუწყებიან, რომ 29/V დანიშნულია ლუბა **ჩარგაზიას** პანაშვიდი.

მე-13 პოლიკლინიკის პარტორგანიზაცია და თანამშრომლები იუწყებიან ექიმ ტრიფონ ჩანტლაძის მამის, **იაგორ ივანეს-ძე ჩანტლაძის** გარდაცვალებას.

ლიდა ლალიაშვილი, ვლადიმერ, სოსო, ფენია, ეთარ, ვენერა, შიო, მიშა მიქაძეები, მიტუშა შენგელია, ვლადიმერ რუსია, აბესალომ ჯოჯუა, კარლო კინწურაშვილი იუწყებიან ბიძაშვილის **მიშა დიომიდეს-ძე მიქაძის** გარდაცვალებას.

ლიდა, დათიკო შაფაქიძეები, ჩატუ, შალვა მჟავია, ცაცა, იონა მირცხულავა იუწყებიან **თამარ ლორთქიფანიძე-მდინარაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ექიმი ანდრო პატარაია შვილებით და შვილიშვილებით იუწყება **მანია პეტრეს-ასულ გვიჩია-პატარაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31/V, 7 ს. ყოფილ მიხეილის საავადმყოფოში, გამოსვენება 1/VI, 6 ს. იქიდანვე.

მეუღლე ფილიპე, შვილები გიორგი, ანტონ, მაშო, ვარლამ ხინთიბიძეები ოჯახებით, სიძე სილოვან ციცქარიძე იუწყებიან **მინა ხინთიბიძის** გარდაცვალებას.

დაკარგულია ტანინის სიმქავის ქარხნის მრგვალი ბეჭედი. ს. გ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3.63.03, პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—2 06.88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3.81.84, [illegible]—3.73.24, [illegible] მეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3 80.83, საბჭოთა, ლიტერატურისა—3.80.84, მორიგ. და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის —3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70

[illegible] „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 71,800 უე 00329